1940/2
ნ. ბ-ka

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. სექტემბრის 30 № 24 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

100. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციისა.

101. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნადირობის წესებისა და ვადების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნადირობის წესებისა და ვადების შესახებ.

102. საქართველოს სსრ სანადირო მეურნეობის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სანადირო მეურნეობის შესახებ.

ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

100. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის დებულება.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. სექტემბრის 29. № 1762.
თბილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციისა

1. შესაბამისად საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 5 დეკემბრის დადგენილებისა „სსრ კავშირის მიწსახკომის, რსფსრ და უკრაინის მიწსახკომების, ავტონომიური რესპუბლიკების მიწსახკომების, სამხარეო, საოლქო და რაიონული სამიწათმოქმედო განყოფილებათა სტრუქტურის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 1, მუხ. 4) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექცია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე თვალყურს ადევნებს სანადირო სარეწაოს მართებულ წარმოებასა და ნადირობის წესების დაცვას.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის ადგილობრივ ორგანოებად ითვლება სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციები, რომელნიც არსებობენ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, აგრეთვე სანადირო სარეწაოს ინსპექტორები და სანადირო მეთვალყურენი, რომელნიც არსებობენ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებთან ისეთ რაიონებში, სადაც განვითარებულია სანადირო რეწაობა ანდა ძვირფასი ადგილობრივი სანადირო ფაუნა მოიპოვება.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექცია:

ა) კონტროლს, უწევს თუ როგორ სრულდება სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი ნადირობის შესახებ, კონტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როლს უწევს ყველა უწყებისა და ორგანიზაციის საქმიანობას სანადირო მეურნეობის, სანადირო რეწაობის და სანადირო სპორტის დარგში, აგრეთვე მათ მიერ მავნებელ მტაცებელთა მოსპობის საქმეში;

ბ) კონტროლს უწევს და იკვლევს სანადირო სამეურნეო საწარმოებს, აგრეთვე ყველა უწყებების და ორგანიზაციების მუშაობას სანადირო რეწაობის პროდუქციის დამზადებისა, სანადირო სარეწაო ფაუნის აღდგენისა და სანადირო სარეწაო ცხოველთა ახალი სახეობების ჩანერგვის დარგში;

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. უწყებებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ შეუდგნენ სანადირო რეწაობის ცხოველთა აკლიმატიზაციას მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს საკითხი წინასწარ იქნება შეთანხმებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციასთან.

გ) ამუშავებს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად უდგენს იმ დადგენილება-განკარგულებათა პროექტებს, რომლებიც შეეხება ნადირობის წესებსა და ვადებს ცალკეული სახის ნადირსა და ფრინველზე ნადირობის სპეციალურ რეგლამენტაციასა და აკრძალვას, სანადირო ნაკრძალთა და აღკვეთილთა ორგანიზაციას, აგრეთვე სანადირო რეწაობის და სანადირო სპორტის სხვა საკითხებს;

დ) ანხორციელებს სანადირო სანახების გადაცემას ცალკეულ ორგანიზაციებისათვის ხელშეკრულებათა საფუძველზე და ამოწმებს სათანადო სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას;

ე) თვალყურს ადევნებს სანადირო მოწმობების გაცემის სისწორეს და იძლევა საეცნიერო ნადირობისა და ცოცხალ ნადირის და ფრინველთა დაჭერის ნებართვას;

ვ) დადგენილი წესით აპროტესტებს უწყებათა და ორგანიზაციათა ისეთ მოქმედება-განკარგულებებს, რომელნიც არღვევენ სანადირო რეწაობის და სანადირო მეურნეობის წარმოების წესებს;

ზ) შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 9 მაისის დადგენილებისა „ბეწვიან ნადირზე უკანონო ნადირობისა და სხვა სახის ნადირობისათვის ჯარიმათა შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. № 35, მუხ. 215; 1936 წ. № 6 მუხ. 56) იღებს ზომებს იმათ წინააღმდეგ, ვინც ნადირობის წესებს არღვევს, აგრეთვე იმათ, ვინც ნადირობის მომქმედ წესებსა და ვადებს არღვევს, აჯარიმებს 300 მანეთამდე, რასაც ახდევინებს კანონით დადგენილი წესის მიხედვით, ამ ჯარიმათა 50 პროცენტს გადარიცხავს სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის სპეციალურ სახსრებში; კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ნადირობის დადგენილი წესებისა და ვადების დაძრღვევთ პასუხისგებაში აძლევს სისხლის სამართლის წესით;

თ) ნებაყოფლობითს საფუძველზე აწყობს და ხელმძღვანელობს ნადირობის საზოგადოებრივ ინსპექციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის სათავეში დგას უფროსი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის უფროსის მოადგილეს ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო უფროსის წარდგენით.

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის ინსპექტორები და სამონადირო მეთვალყურენი ინიშნებიან სახელმწიფო ინსპექციის უფროსის ბრძანებით.

6. სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის მუშაკებს უფლება ენიჭებათ ატარონ შაშხანა იარაღი, რაც მიეცემათ სსრკ შინსახკომის დადგენილი წესების დაცვით.

7. სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის მუშაკები ატარებენ დაწესებული ფორმის ტანსაცმელს.

8. სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციას უფლება ენიჭება მოსთხოვოს ყველა უწყება—ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ სანადირო მეურნეობა, მისდევენ სანადირო რეწაობას, სანადირო სპორტსა და სანადირო მეძაღლეობას, მათი მუშაობის გეგმებისა და ანგარიშებისა და მათს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მასალა-დოკუმენტების წარმოდგენა.

9. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექცია ხელმძღვანელობას უწევს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციებისა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ სანადირო სარეწაოს ინსპექტორებისა და სანადირო მეთვალყურეთა მუშაობას.

10. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის უფროსი და უფროსის მოადგილე, თუ საჭირო იქნა, აწარმოებენ ყველა სანადირო სარეწაო ნადირისა და ფრინველის საკდელ დახოცვა-დაჭერას წლის ყოველ დროს საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე, გარდა ნაკრძალთა და აღკვეთილთა.

სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის დანარჩენ თანამშრომელთ შეუძლიათ მოაწყონ ასეთი საცდელი დახოცვა-დაჭერა მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის უფროსის სპეციალური დავალებით.

11. ფულადი ჯარიმა, რასაც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექცია ადმინისტრატიული წესით აკისრებს დამნაშავეთ და რაც მათ სასამართლოს წესით ეკისრებათ ნადირობის წესებისა და ვადების დარღვევის საქმეების გამო, მთლიანად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაირიცხება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის განსაკუთრებულ მიმდინარე ანგარიშზე.

12. მე-11 მუხ. აღნიშნული ჯარიმებისაგან შემოსული თანხის 50 პროცენტი ჩაირიცხება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის სპეციალურ სახსრებში იმ პირთა დასაჯილდოებლად, რომელთაც აღმოაჩინეს ნადირობის წესების დარღვევა და არაკანონიერი ნადირობის პროდუქციით ვაჭრობა, ხოლო დანარჩენ 50 პროცენტს ბანკი გადარიცხავს საერთო-საკავშირო ბიუჯეტის შემოსავლად.

13. კონფისკაციაქმნილი ნანადირევის რეალიზაციით მიღებული თანხა შედის საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში.

14. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექცია და მისი ადგილობრივი ორგანოები აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სანადირო სარეწაო ინსპექტორები და სამონადირო მეთვალყურენი იმყოფებიან საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტზე.

15. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციას და მის ადგილობრივ ორგანოებს ენიჭებათ უფლება იქონიონ სახელმწიფო ბანკში მიმდინარე ანგარიში, აგრეთვე შტამპი და ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით.

---

101. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნადირობის წესებისა და ვადების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნადირობის წესებისა და ვადების შესახებ.

2. გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 17 ივლისის დადგენილება „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნადირობის წესებისა და ვადების შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1938 წ. № 3 მუხ. 8; 1939 წ. № 11, მუხ. 49).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. სექტემბრის 9. № 1764.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნადირობის წესებისა და ვადების შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი

1. ნადირობად ითვლება თავისუფლად მყოფ გარეულ ნადირთა და ფრინველთა მოპოვება, ცეცხლმსროლი იარაღით, მახით, ხაფანგით, ბადით, მარყუჟით, ძაღლით, მონადირე ფრინველით და ჭერის სხვა იარაღითა და საშუალებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თოფით, დასაჭერი იარაღით, მონადირე ძაღლით, მონადირე ფრინველით და სხვ. საერთო სარგებლობის გზის გარეშე ყოფნა ნადირობას ეთანაბრება.

2. ნადირობის უფლება საქართველოს სსრ ყველა სანადირო სანახებში, გარდა ნაკრძალთა, აღკვეთილთა და განსაკუთრებული სანადირო სანახებისა, რომლებიც ასეთად გამოცხადებულია განსაზღვრული წესისამებრ, აქვს ყველა მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი, მოეპოება საქართველოს სსრ სანადირო სარეწაო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციების საწევრო წიგნაკი ან სამხედრო-სანადირო საზოგადოების მოწმობა და ნადირობის უფლებისათვის გადახდილი აქვს ერთიანი სახელმწიფო ბაჟი, თუ ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებული არ არის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მოზარდთ 14-დან 16 წლამდე შეუძლიათ ინადირონ მშობლებთან ან მეურვეებთან ერთად მათი მეთვალყურეობით და პასუხისმგებლობით.

3. სამეცნიერო ნადირობა, აგრეთვე ცოცხალი გარეული ნადირის დაჭერა სწარმოებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის მიერ გაცემული სპეციალური ნებართვით.

4. სანადირო კოოპერაციის სისტემის ორგანიზაციები, აგრეთვე სამხედრო-სანადირო საზოგადოებები ვალდებული არიან თავიანთი წევრებისათვის მიცემულ საწევრო წიგნაკსა და მოწმობაში, ამ წესების გარდა, მოათავსონ ყველა იმ სანადირო ნაკრძალთა, აღკვეთილთა და სხვა სანადირო სანახების ნუსხა, სადაც ნადირობა აკრძალულია, შეზღუდულია ანდა განსაკუთრებული წესებით რეგულირდება.

II. ნადირობის საშუალებანი

5. აკრძალულია მთელი წლის განმავლობაში:

ა) ნადირობის მიზნით ლელის და ბალახის წვა, ალის მაღლა აგზნება;

ბ) ფრინველთა კვერცხების შეგროვება და სასარგებლო ფრინველის ბუდეების მოშლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ქვემოჩამოთვლილ გამონაკლისთა გარდა (მუხ. 13) ნადირ-ფრინველთა მასიური მოპოვების ხერხთა (ბადე, ფარდა, გოდორი და სხვ.), აგრეთვე გამჭყლეტ და დამასახიჩრებელ მოწყობილობათა (ქამანდი, მახე, ხაფანგი, სარეგვავი, ჩიტის წებო, ორმოს ამოთხრა), საერთო საშიშ საშუალებათა (მოწამვლა, თოფის დაგუშაგება) გამოყენება და უმწეო მდგომარეობაში მყოფ ცხოველთა მოპოვება (მოლიპულზე შერეკა, ფრთამოყინული და ბუმბულ გაცვინული ფრინველის დაჭერა, ნათი ღამით ჭერა ანთებულ სინათლის საშუალებით), აგრეთვე იმ ნადირ-ფრინველთა, რომელნიც თავს იფარავენ ქარიშხალის, თოვლის, წყალდიდობისა და უსაკვებლობისაგან;

დ) ჭერის ადგილას, ნადირობის დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ, დაგუშაგებული მახის და სხვა თვითდამჭერი იარაღის დატოვება;

ე) იმ ხელოვნური საბუდარი ადგილების, ბუნაგის, მხეცთა და ფრინველთა დამატებითი გამოკვების ადგილებისა, აბრის, განცხადების, გამოსაცნობი ნიშნის დაზიანება-მოსპობა, რომელთაც გამოაკრავენ ან დგამენ სანადირო მეურნეობის, ნაკრძალის და აღკვეთილის შიგნით ან საზღვარზე;

ვ) ნადირობის დროს საცობად ადვილაალებადი მასალის (ჩვარი, ქაღალდი და სხვ.) ხმარება, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ტყის, ლელიანისა და ხმელი ბალახის ხანძარი;

ზ) მოსავლის აღებამდე ნათესებსა, ბოსტნებსა, ბაღებსა და საკარმიდამო ნაკვეთებზე ნადირობა (პატრონის ნებადაურთველად);

თ) მსვლელობითი მირეკვითი მწკრივად ნადირობა კურდღელსა და ფრინველზე;

ი) ნადირობა ავტომანქანიდან, მოტოციკლიდან და ჰაეროპლანიდან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ხაფანგის და თვითმოქმედ მახეების გამოყენება ნებადართულია მავნებელ მტაცებლებზე ნადირობის დროს, აგრეთვე გეგმიანი და ბეწვიანი ნადირის და გარეულ ნადირთა და ფრინველთა დამზადების შესრულების დროს, მონადირეთა ადგილობრივი კოლექტივის კონტროლის ქვეშ.

6. აკრძალულია ძაღლებით ნადირობა 1 აპრილიდან 1 აგვისტომდე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მდევარი ძაღლების დაგეშვა უთოფოდ ნებადართულია ნადირობისათვის აკრძალულ დროსაც, ხოლო არა უადრეს ერთი თვისა ნადირობის სეზონის დაწყებამდე, იმ ნაკვეთებზე, რომლებიც სპეციალურად მიჩენილია საამისოდ მონადირეთა ადგილობრივი კოლექტივის მიერ.

7. ნადირობის თითო დღეში მონადირეს შეუძლია მოინადიროს: ხოხობი არაუმეტეს ხუთისა, აქედან დედალი არაუმეტეს ორისა, გნოლი და კაკაბი არა უმეტეს ათი ცალისა ერთად, ჩლიქიანი ნადირი (გარდა გარეული ღორისა) არა უმეტეს ერთი ცალისა თვითეული სახეობის ნადირიდან.

თუ ნადირობა ერთ დღეზე მეტ ხანს გრძელდება, ნანადირევი ფრინველის რიცხვი შეიძლება გადიდებულ იქნას ერთი ორად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ მონადირეს მთელი წლის განმავლობაში უფლება აქვს მოიხადიროს არა უმეტეს, ვიდრე სამ-სამი ცალი ჯიხვი, ნიამორი, ფსიტი (არჩვი) და შველი.

III. აკრძალულია ნადირობა

8. ნადირობა აკრძალულია მთელი წლის განმავლობაში:

ა) კავკასიის ირემსა, დანიელსა, ჯეირანსა, ნუტრიასა, უსურიის ენოტსა და მთიხვზე;

ბ) დედალ და ნუკრ (ერთ წლამდე) ჯიხვზე, ნიამორზე. შველზე და არჩვის (ფსიტი) თიკანზე;

გ) დურაჯზე, თეთრ ყანჩაზე, გედზე;

დ) ყველა სასარგებლო მტაცებელ ფრინველზე, როგორც მაგალითად: კირკიტა, პუსტელგა, ბოლობეჭედა (გარდა ჭაობის ბოლობეჭედასი), კაკაჩა, კანუკი და ყოველგვარი ბუ (გარდა ზარნაშოსი);

ე) ყველა მგალობელ ფრინველზე (გარდა შაშვისა), კოდალასა და გუგულზე;

ვ) ყველა ცალკე მფრინავ მტრედზე, გარდა ქედნისა და გვრიტისა;

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მგალობელ ფრინველთა დაჭერა, ტყვეობაში მათ სამყოფებლად, ნებადართულია მხოლოდ გალიისებრი თვითმოქმედი იარაღით 1 თებერვლიდან 31 მარტამდე და 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე.

9. ნადირობა აკრძალულია შემდეგს ნაკრძალებსა და აღკვეთილებში:

ლაგოდეხის ნაკრძალში
ბორჯომის „
თელავ-ყვარლის ხოხობზე ნაკრძალში.
ფოთის აღკვეთილში
ყარაიის „

ქ. თბილისის მიდამოების 3 შემოღობილ ნაკვეთში: ორთაჭალის, ფუნიკულიორის და ლისის ტბისა, საერთო ფართობი—2000 ჰექტარი.

10. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სანადირო რეწაობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსს უფლება აქვს, უკეთუ ადგილობრივი პირობების გამო საჭირო იქნება, დროებით აკრძალოს ან შეამოკლოს ნადირობის ვადები სანადირო სარეწაო ცხოველების ცალკეულ სახეობებზე.

IV. ნებადართული ნადირობის ვადები

11. ნადირობა ნებადართულია შემდეგ ვადებში და შემდეგი სახის მხეცებზე და ფრინველებზე:

ა) 30 ივლისიდან 1 დეკემბრამდე როჭოსა და შურთხზე;

ბ) 15 აგვისტოდან 1 აპრილამდე მწყერსა, ჩიბუხასა (ბეკასი), პატარა ჩიბუხასა (კარშნეპი) და სხვა წინტალებზე, ყველა მტრედისებრ ფრინველზე (ველური მტრედი, ქედანი, გვრიტი), წყლის ყველა ფრინველზე (ბატი, იხვი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა), ყველა ლაინისაბრი ფრინველზე (სავათი, სარსარაკი, წყლის ქათამი, ღალღა, ჭაობის ქათამი და სხვ.) და ყველა სხვა მხეცსა და ფრინველზე, რომლებიც ამ დადგენილებაში ცალკე არ არიან ჩამოთვლილი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. 1. მამალი მწყრის მოსატყუებელი ძახილით დაჭერა ნებადართულია 15 მაისიდან 15 ივნისამდე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. 2. დასავლეთ საქართველოში კრონშნეპზე ნადირობა ნებადართულია 10 ივლისიდან 31 მარტამდე.

გ) 1 სექტემბრიდან 1 დეკემბრამდე მამალ ჯიხვსა, მამალ ნიამორსა, მამალ შველსა და არჩვზე (ფსიტი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. მამალ შველზე ნადირობის ნებადართულ რაიონებს აწესებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის უფროსი თავისი ბრძანებით.

დ) 1 ოქტომბრიდან 1 იანვრამდე გარეულ ღორზე.

ე) 1 ოქტომბრიდან 1 თებერვლამდე გნოლსა, კაკაბსა და კურდღელზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ჩაისა და ციტრუსების რაიონების პლანტაციებში კურდღელზე, როგორც სოფლის მეურნეობის კულტურების მავნებელზე, ნადირობა ნებადართულია მთელ წელიწადს.

ვ) 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე ხოხობებზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ხოხობზე ნადირობის ნებადართულ რაიონებს აწესებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის უფროსი თავისი ბრძანებით.

ზ) 1 ნოემბრიდან 31 მარტამდე წავზე.

თ) 1 დეკემბრიდან 1 მარტამდე მელასა და კვერნაზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მთიან რაიონებში და ახალციხის, ახალქალაქის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ზემო-სვანეთის, ქვემო-სვანეთის, ყაზბეგის, ონის რაიონებში და ხევსურეთში (დუშეთის რაიონი) კვერნასა და მელაზე ნადირობა ნებადართულია 15 ნოემბრიდან 1 მარტამდე.

V. ბრძოლა მავნებელ ანუ მტაცებელ გარეულ ცხოველებთან

12. მავნებელ ანუ მტაცებლად ითვლებიან:

ა) მხეცები: ჯიქი, გარეული კატა (ტყისა და ლელიანისა), ფოცხვერი, აფთარი, მგელი, ტურა, დათვი, აგრეთვე მოხეტიალე კატა და ძაღლი;

ბ) ფრინველნი: ქორი, მიმინო, თეთრბოლოიანი არწივი, ჭაობის ბოლობეჭედა, ზარნაშო, ძერა, შევარდენი, ბარი, კრეჩეტი, ავალი, ქორცქიტა, ყვავი, კაჭკაჭი, ჩვაბა, კვირიონი (მელეღვია), ღაჯო და ბეღურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. მავნებელ ან მტაცებელ ნადირ-ფრინველთა გაწყვეტა მთელი წლის განმავლობაში ნებადართულია ყოველი ხერხით, გარდა საერთო საშიშ საშუალებათა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ნადირობის აკრძალვის დროის განმავლობაში (1 აპრილიდან 1 აგვისტომდე) მავნებელ ანუ მტაცებელ მხეცთა (გარდა მგლისა) და ფრინველთა გაწყვეტა თოფით ნებადართულია მხოლოდ ორგანიზებული წესით სანადირო ორგანიზაციების ხელმძღვანელობით.

14. ბაღების, ბოსტნებისა და ნათესების პატრონთ ნება ეძლევათ გასწყვიტონ მთელი წლის განმავლობაში თავის ნაკვეთებზე ყველა საშუალებით, გარდა მოწამლისა, სასოფლო სამეურნეო კულტურის მავნებელი ცხოველები (კურდღელი, მაჩვი).

VI. ნადირობის პროდუქციით ვაჭრობის აკრძალვა

15. აკრძალულია:

ა) შემდეგი სახეობის ნანადირევის გაყიდვა: ჯიხვის, ნიამორის, არჩვის (ფსიტის), შველის, ჯეირნის, ხოხბის, გნოლისა და კაკბისა;

ბ) ნანადირევის ყიდვა-გაყიდვა და გადაზიდვა ხუთი დღის შემდეგ დღიდან ნადირობის აკრძალვისა ამა თუ იმ ნადირზე ან ფრინველზე.

VII. ზედამხედველობა ნადირობის წესებისა და ვადების დაცვაზე

16. ზედამხედველობა ნადირობის წესებისა და ვადების შესრულებისათვის და სანადირო ფაუნისა და სანადირო სანახების დაცვისათვის ეკისრება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან და სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციას, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ სანადირო სარეწაოს ინსპექტორებს, სასოფლო საბჭოებს და მათ რწმუნებულებს, სატყეო ადმინისტრაციას და სამცველოს, მილიციას, სასოფლო აღმასრულებლებს და მილიციის დამხმარე ბრიგადებს, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების რწმუნებულებს ნადირობის დარგში, საზოგადოებრივ ინსპექციას და სანადირო ორგანიზაციებსა და მათს რწმუნებულებს.

17. ნადირობის ამა წესების დარღვევა გამოიწვევს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის მიერ დაჯარიმებას სამას მანეთამდე ან პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 89 მუხლის 1 ნაწ. და 108[1] მუხლის მიხედვით.

18. მე-16 მუხლში ჩამოთვლილი პირების პირველი მოთხოვნისამებრ ყოველი მონადირე ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მათ თავისი საბუთები ნადირობის უფლების შესახებ და სანადირო ჩანთა ნანადირევის შესამოწმებლად.

19. ნადირობის წესების დარღვევის აღმოჩენისას ის პირი, რომელსაც ეკისრება ზედამხედველობა ამ წესების შესრულებისათვის (მუხ. 16), მოვალეა:

ა) გამოარკვიოს დამრღვევის ვინაობა,

ბ) ჩამოართვას მას უკანონო ნადირობის პროდუქცია,

გ) შეადგინოს ოქმი წესების დამრღვევის პასუხისგებაში მისაცემად ადმინისტრატიულ ან სისხლის სამართლის წესით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თუ ნადირობის წესებისა და ვადების დამრღვევთა ვინაობის გამორკვევა შეუძლებელია, იმ პირმა ვისაც ეკისრება ზედამხედველობა ამ წესების შესრულებისათვის, უნდა ჩამოართვას მათ იარაღი და ჭერის ხელსაწყო იმ პირობით, რომ ეს იარაღი და ხელსაწყო აუცილებლად ჩაბარდეს შესანახად სამონადირო ორგანიზაციას.

20. ოქმი ნადირობის წესების დარღვევის შესახებ გადაეცემა სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციას ადმინისტრატიული წესით დამრღვევის დასაჯარიმებლად ან სასამართლოსათვის გადასაცემად.

21. ნადირობის წესებისა და ვადების დამრღვევთათვის ჩამორთმეულ უკანონო ნადირობის პროდუქცია უნდა გაიყიდოს სახელმწიფო ან კოოპერატიული ორგანიზაციების მეშვეობით, ხოლო თუ დაყოვნება არ შეიძლება, უშუალოდ ოქმის შემდგენის მიერ, რაზედაც შესდგება აქტი ორი მოწმის მონაწილეობით.

კონფისკატების გაყიდვით აღებული თანხა მთლიანად უნდა შეტანილ იქნას საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში.

VIII. სანადირო იარაღი

22. სანადირო ცეცხლსასროლ იარაღად ითვლება ისეთი იარაღი, რომელსაც აქვს სპეციალური სანადირო დანიშნულება და არ იხმარება არმიის შესაიარაღებლად. ასეთი იარაღია: საფანტის თოფი, ბიუქსფლინტი, სამლულა, პარადოქსი, შტუცერი და სპეციალური სანადირო შაშხანა.

23. შტუცერის, სანადირო შაშხანა თოფის და სამლულას (ღარიანი ლულა) შენახვა-ტარების ნებართვას იძლევა მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოები.

სადალულიანი სანადირო თოფის და ერთი სანადირო დანის ანუ ხანჯლის შენახვა-ტარებისათვის განსაკუთრებული ნებართვა საჭირო არ არის, თუ ასეთები შეტანილია სანადირო ორგანიზაციების საწევრო წიგნაკსა ან მოწმობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

102. საქართველოს სსრ სანადირო მეურნეობის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას დებულება საქართველოს სსრ სანადირო მეურნეობის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს დებულება საქართველოს სსრ-ის სანადირო მეურნეობის შესახებ, რაც დამტკიცებული იყო საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. დეკემბრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 2 მუხ. 12).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. სექტემბრის 20. № 1857.
თბილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სანადირო მეურნეობის შესახებ

I. საერთო დებულებანი

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ბუნებრივ პირობებში თავისუფლად მყოფი გარეული ნადირ-ფრინველი წარმოადგენს სახელმწიფო სანადირო ფონდს.

2. სანადირო მეურნეობად იგულისხმება ღონისძიებათა სისტემა, რომელთაც მიზნად აქვთ სახელმწიფო სანადირო ფონდის წესიერი ექსპლოატაცია, საარგებლო სარეწაო სანადირო ცხოველთა გამრავლება და გაუმჯობესება, აკლიმატიზაცია, რეაკლიმატიზაცია და სხვ.

3. სანადირო სანახებად იგულისხმება მიწის, ტყიანი და წყლით დაფარული ფართობები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ამა დებულების მე-2 მუხლში აღნიშნული მიზნებისათვის.

4. ძვირფას სანადირო ნადირ-ფრინველთა მარაგის შენახვის, გამრავლებისა და შემდგომ სამეურნეოდ გამოყენებისათვის ხელშემწყობ პირობების შექმნის მიზნით სანადირო სანახების შედგენილობიდან გამოიყოფა:

ა) სანადირო ნაკრძალები,

ბ) სანადირო აღკვეთილები და

გ) განსაკუთრებული სანადირო სანახები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. სანადირო ნაკრძალები წარმოადგენენ ბუნებრივ შემოფარგლულ ნაკვეთებს, რომლებზედაც სამუდამოდ აკრძალულია ნადირობა და აგრეთვე მიწის, ტყიანი და წყლით დაფარული ფართობების ყოველგვარი გამოყენება არა ნაკრძალის მიზნებისათვის.

6. საერთო-სარესპუბლიკო მნიშვნელობის სანადირო ნაკრძალები არსდება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის ნაკრძალები—ავტონომიურ რესპუბლიკებში და ავტონომიურ ოლქში აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებებით და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებით, კუთვნილებისამებრ.

7. ნაკრძალთა გამგებლობის წესს, ყოველი ნაკრძალისათვის ცალკე, განსაზღვრავს განსაკუთრებული დებულებით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, იმ ორგანიზაციის წარდგენით, რომლის გამგებლობაში გადაცემულია ნაკრძალი.

8. სანადირო აღკვეთილებად იგულისხმება სანადირო სანახების ბუნებრივ შემოფარგლული ნაკვეთები, რომლებზედაც ნადირობა აკრძალულია არა უმეტეს, ვიდრე ათი წლის ვადით.

სანადირო სანახები სანადირო აღკვეთილებად გამოცხადდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით სამონადირო კოოპერაციის ან სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების წარდგენისამებრ, რაც წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნას ადგილობრივ სამიწათმოქმედო და სატყეო ორგანოებთან.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების კომიტეტების გადაწყვეტილებანი წარედგინება დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს ან მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელ კომიტეტს, კუთვნილებისამებრ.

9. უკეთუ სანადირო ნაკრძალებსა და აღკვეთილებში ბლომად დაგროვდა ნადირ-ფრინველი და საჭიროა მათი გამოყენება მემხეცეობის და ნადირ-ფრინველთა მოშენების მიზნით, აგრეთვე უკეთუ საჭიროა მავნებელ ნადირ-ფრინველთა გაწყვეტა, ნადირობის უფლებას იძლევიან ყოველ ცალკე შემთხვევაში, ის ორგანოები, რომელთა გამგებლობაშიაც ესა თუ ის ნაკრძალი ან აღკვეთილია: ნაკრძალებში — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, ხოლო აღკვეთილებში—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექცია.

10. განსაკუთრებულ სანადირო სანახებად იგულისხმება, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის წარდგენისამებრ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებებით და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით გამოყოფილი სანახები. ეს სანახები გადაეცემა კოლმეურნეობებს, სახელმწიფო დაწესებულებებს, და სამონადირო ორგანიზაციებს, განსაკუთრებულ ხანგრძლივ სარგებლობაში სანადირო მეურნეობის სწორი წარმოებისა და ექსპლოატაციის მიზნით,—თანაც სარეწაო სანადირო ცხოველთა დაცვისა და მოშენებისათვის ღონისძიებათა ჩატარებით და ნადირობაზე მისაშვებ პირთა რიცხვის განსაზღვრით.

აღნიშნულ ორგანიზაციებს და დაწესებულებებს განსაკუთრებული სანადირო სანახები გადაეცემათ განსაკუთრებული სახელშეკრულებო შეთანხმებით, რასაც ეს დაწესებულებანი და ორგანიზაციები დაუდებენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სანადირო სარეწაოს ინსპექციას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. განსაკუთრებული სანადირო სანახები აღნიშნულ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს გადაეცემათ უსასყიდლოდ, ხოლო მოსაწყობ სანადირო მეურნეობებში სათანადო კაპიტალდაბანდებით, რაც გათვალისწინებულ იქნება სათანადო სანადირო მეურნეობის უახლოესი წლების გეგმით.

II. ნადირობა

11. ნადირობად ითვლება ბუნებრივ თავისუფლად მყოფ გარეულ ნადირ-ფრინველთა მოპოვება.

თოფით, მონადირე ძაღლით, მონადირე ფრინველითა, ხაფანგით და სხვ. დასაჭერი იარაღით საერთო სარგებლობის გზის გარეშე ყოფნა ნადირობას ეთანაბრება.

12. ნადირობის უფლება საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე, გარდა ნაკრძალების, აღკვეთილებისა და განსაკუთრებული სანადირო სანახებისა, ეძლევა ყველა მოქალაქეს, ვისაც შეუსრულდა 16 წელი და აქვს საქართველოს სსრ-ის სამონადირო კოოპერაციული სისტემის ორგანიზაციების საწევრო წიგნაკი ან სამხედრო-სამონადირო საზოგადოების მოწმობა.

მოზარდთ 14-დან 16 წლამდე შეუძლიანთ ინადირონ მშობლებთან და მეურვეებთან ერთად მათი მეთვალყურეობით და პასუხისმგებლობით.

13. საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ნადირობის წესებს, ვადებს და ხერხებს ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

14. ამა დებულებით განსაზღვრული წესების ან ამა დებულების საფუძველზე ნადირობის შესახებ გამოცემული წესების და ვადების დარღვევა, აგრეთვე უკანონო ნადირობის პროდუქციის გაყიდვა, გადაზიდვა და შენახვა გამოიწვევს ადმინისტრატიულ გადასახდელს ჯარიმას 300 მანეთამდე, რაც დაიდება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის უფროსის მიერ ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხ. სამ. კოდექსის 89 მუხ. I ნაწ. და 108 I მუხლის თანახმად.

15. ადრეული და მოსაპოებლად აკრძალული ბეწვეულისა და ნადირობის სხვა პროდუქციის შესყიდვისათვის დამამზადებელი ორგანიზაციები პასუხს აგებენ თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 9-ის დადგენილებისა „ბეწვიან ნადირზე უკანონო ნადირობისა და სხვა სახის უკანონო ნადირობისათვის ჯარიმის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1932 წ. № 35 მუხ. 215; 1936 წ. № 6, მუხ. 56). ჯარიმებს ადებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციის უფროსი.

16. ნადირობის წესებისა და ვადების დამრღვევთა აღმომჩენი პირნი პრემირდებიან ბრაკონირებზე დადებულ და გადახდევინებულ ჯარიმების 50%-ით.

III. სანადირო რეწაობის დაწესებულებანი

17. სანადირო მეურნეობის ხელმძღვანელობა და ნადირობის საქმის მოწესრიგება საქართველოს სსრ-ის მთელ ტერიტორიაზე ეკისრება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციას.

18. ნადირობის წესებისა და ვადების ასრულებისა და სანადირო სარეწაო ფაუნის და სანადირო სანახების დაცვისათვის ზედამხედველობის გაწევა ეკისრებათ: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან, აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინსპექციას, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ სანადირო სარეწაოს ინსპექტორებს, სასოფლო საბჭოებს და მათ რწმუნებულებს, სატყეო ადმინისტრაციას და სამცველოს, მილიციას, სოფლის აღმასრულებლებს და მილიციის დამხმარე ბრიგადებს, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობების რწმუნებულებს ნადირობის დარგში, საზოგადოებრივ ინსპექციას, სამონადირო ორგანიზაციებს და მათ რწმუნებულებს.

19. იმ ორგანოებს და ორგანიზაციებს, რომლებსაც გადაცემული აქვთ ხანგრძლივი სარგებლობისათვის განსაკუთრებული სანადირო სანახები, ეკისრებათ—მოაწყონ სპეციალური სანადირო ზედამხედველობა და მეთვალყურეობა ნადირობის წესების შესრულებისა და აღნიშნული სანახების დაცვისათვის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ნაკრძალებში და აღკვეთილებში სანადირო ზედამხედველობა ინახება იმ ორგანოებისა და ორგანიზაციების ხარჯზე, რომელთა გამგებლობაშიაც ნაკრძალები და აღკვეთილებია.

6810

ეროვნული
ბიბლიოთეკა

П 605/300

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ბარქსის სახ. საქ. სახელმ.
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28

უე—11295. შეკვეთა № 1544. ტირ. 2000.

Соб. Мос. раст. Правит. Груз. ССР.